

საკანონმდებლო სიახლეები

ივნისი – აგვისტო, 2022

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996
<u>გვერდი 1-2</u>

სიტუაციური სახელმძღვანელოები

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში
<u>გვერდი 2-3</u>

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №994
<u>გვერდი 3</u>

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: მარჯანიშვილის ქ N6, მწვანე შენობა, 0102, თბილისი, საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 2022 წლის 14 ივნისის ცვლილებით, ახლებურად ჩამოყალიბდა 40 პრიმა 1 მუხლის მე-5 პუნქტის გ.ბ ქვეპუნქტი, კერძოდ, აღნიშნული ცვლილებით დაზუსტდა კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდის შემთხვევაში მოგების გადასახადისგან განთავისუფლებული პირის განმარტება. მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირად განიხილება პირი, რომლის მიერ, მის კაპიტალში შენატანის განხორციელების ან/და მისი აქციის/წილის შეძენის წლის წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მოგების გადასახადით გათავისუფლებული შემოსავალი ამავე პერიოდში მიღებული შემოსავლის 30%-ს აღემატება;

- 2022 წლის 1-ლი ივლისით განხორციელებული ცვლილების მიხედვით, ამავე პერიოდიდან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ახლად რეგისტრირებული სუბიექტებისთვის (გარდა ფიზიკური პირებისა) შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია განხორციელდება ავტომატურად, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე, რა დროსაც პირს „ელექტრონული ფორმით კომუნიკაციის შესახებ“ განცხადებაში დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ეგზავნება ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ცვლილებით, გადასახადის გადამხდელს შემოსავლების სამსახურის პირადი გვერდის აქტივაციისთვის აღარ მოუწევს შემოსავლების სამსახურის სერვის ცენტრში მისვლა ან ვიდეო-ზარის განხორციელება;

- 2022 წლის 11 ივლისით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, დაზუსტდა საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსების წესი, კერძოდ, ცვლილება განიცადა 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებმა. ძველი რედაქციისგან განსხვავებით, ვ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათის ოდენობა და ჩანაცვლდა ზოგადი ტერმინით „საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათის ოდენობა“. ამასთან, ამავე ქვეპუნქტს დაემატა შენიშვნა საერთაშორისო კომპანიებისთვის, რაც გულისხმობს შემდეგს: საერთაშორისო კომპანიასთან მიმართებაში, აღნიშნულ სვეტში მიეთითება ქონების გადასახადის თანხა კალენდარული წლის განმავლობაში იმ თვეების პროპორციულად, რამდენ თვეშიც პირი ითვლებოდა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონედ. რაც შეეხება ზ ქვეპუნქტს, აქაც მოხდა ტექსტის დაკონკრეტება და ჩაიწერა ზოგადი ტექსტი- მე-9 სვეტში: „შეღავათის საფუძველი“ -მიეთითება საგადასახადო შეღავათის საფუძველი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმა“;

MOORE

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

- 2022 წლის 11 ივლისს განხორციელებული ცვლილების მიხედვით, ჩამოყალიბდა 66-ე (მე-5 პრიმა) მუხლი, რომელიც ეხება გამყვანი ტურიზმის სფეროსთვის მომსახურების გაწევის ადგილის განსაზღვრას სსკ-სგან განსხვავებული წესით. კერძოდ, თუ სსკ-ის 162 (1-ლი პრიმა) მუხლის (B2B, B2C პრინციპი) მე-3 ან მე-12–მე-14 ნაწილების მიხედვით, ტურისტული მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება საქართველოს ტერიტორია, მაგრამ ამ მომსახურებით ფაქტობრივი სარგებლობა ან/და მისი გამოყენება ხდება საქართველოს ტერიტორიის გარეთ, აღნიშნული მომსახურება განიხილება საქართველოს ფარგლების გარეთ გაწეულად. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ასეთი მომსახურება არ დაიბეგრება დღგ-ით.

  აღნიშნული ცვლილებით, ტერმინი „ტურისტული პროდუქტი“ ჩანაცვლდა ტერმინით „ტურისტული მომსახურება“. ცვლილების ძირითადი მიზეზი გამომდინარეობს იქიდან, რომ თავიდანვე ტერმინი „ტურისტული პროდუქტი“ იწვევდა გაუგებრობას, ვინაიდან, განმარტების თანახმად, პროდუქტი მოიცავს რამდენიმე ტურისტული მომსახურების ერთდროულად გაწევას (მაგალითად: სასტუმროს დაჯავშვნა, ავიაბილეთის შეძენა, დაზღვევა და ა.შ), რაც იმას ნიშნავს, რომ ძველი რედაქციის მიხედვით, თუ მაგალითად ტურისტული კომპანია საზღვარგარეთ გაწევდა მხოლოდ ერთი ტიპის მომსახურებას (მაგალითად: სასტუმროს დაჯავშნას) შესაძლებელი იქნებოდა ეს მომსახურება დაბეგრილიყო დღგ-თი. ახალი ცვლილებით კი უკვე ერთი ტიპის მომსახურების გაწევაც კი არ დაიბეგრება დღგ-თი;

- 2022 წლის 15 ივლისს განხორციელებული ცვლილების თანახმად, დანართი №II-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია“) III ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ, საშემოსავლოს ყოველთვიური დეკლარაციის ძირითადი ნაწილის 67-ე, 68-ე და 69-ე უჯრების შევსება სავალდებულო გახდა;

- 2022 წლის 1-ლი აგვისტოთი განხორციელებული ცვლილებით, დაკორექტირდა 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი, კერძოდ, 2022 წლის 31 ივლისი ჩანაცვლებული იქნა 2023 წლის 31 ივლისით და მიიღო შემდეგი სახე: „2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე“;

- 2022 წლის 1-ლი აგვისტოთი განხორციელებული ცვლილებით, 81 პრიმა 1 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 - მე-8 პუნქტები:

  პუნქტი 6. თუ აქციზური/არააქციზური მარკებით ნიშანდებულ იქნა ამავე მარკების სახეობისთვის შეუსაბამო საქონელი, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია,ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაბამისი მარკები ჩათვალოს დაბრუნებულად და უტილიზირებულად, თუ შესრულდება ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:

  ა) საბაჟო საწყობში განხორციელდა ან/და საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლინდა არასწორი ნიშანდება;

  ბ) აქციზურ/არააქციზურ მარკებზე სრულყოფილად იდენტიფიცირდება შესაბამისი რეკვიზიტები;

  გ) შერჩეული პირისთვის და საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილია ინფორმაცია (რეესტრი) შესაბამისი საქონლის დასახელების, რაოდენობის და მათზე დაკრული აქციზური/არააქციზური მარკების სერიული ნომრის/სერიული ნომრის დიაპაზონის მითითებით. აღნიშნული ინფორმაციის (რეესტრის) სისწორე ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებულია (არსებობის შემთხვევაში) გადასახადის გადამხდელის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

  პუნქტი 7 ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

  ა) შესაბამისი ინფორმაციის (რეესტრის) წარდგენიდან შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ადგილზე გადაამოწმოს ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე;

  ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შერჩეულ პირს და საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:

  ბ.ა) შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (არსებობის შემთხვევაში) აქტი შესაბამისი მარკების განადგურების შესახებ;

  ბ.ბ) არაუგვიანეს საქონლის მიწოდებისა ან საბაჟო საწყობიდან გატანის მომენტისა, ინფორმაცია (რეესტრი) შესაბამისი საქონლის დასახელების, რაოდენობის და მათზე დაკრული ძველი და ახალი მარკების სერიული ნომრების/სერიული ნომრების დიაპაზონების მითითებით.

  პუნქტი 8. გადასახადის გადამხდელის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცხადდება ბათილად.

გამოიცა შემდეგი ახალი სიტუაციური სახელმძღვანელოები:

1. ხელშეკრულების ბათილობისას საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა N 2548
2. არარეზიდენტისათვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა N 2006
3. განთავსებული კაპიტალის შემცირება N 2547

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

- 2022 წლის 23 ივნისს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა.გ“ ქვეპუნქტში შეტანილ იქნა ცვლილება.

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

კერძოდ, ცვლილების განხორციელებამდე საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებოდა კალენდარული წლის განმავლობაში მარტოხელა დედის მიერ 3000 ლარამდე მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო ახალი რედაქციის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება კალენდარული წლის განმავლობაშიმარტოხელა მშობლის მიერ 3000 ლარამდე მიღებული დასაბეგრი შემოსავალი.

შეგახსენებთ, რომ მარტოხელა მშობლის ცნება განმარტებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №79/№01-18/ნ;

- 2022 წლის 30 ივნისს განხორციელებული ცვლილებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს დაემატა 115 პრიმა 1 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება საქართველოს საგადასახადო კოდექსით 2022 წელს არის გათვალისწინებული, თავისუფლდება ამავე ნაწილის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ, ქვემოთ მოცემულ საქმიანობებში გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა:

  ა) 55.1 კოდით (სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები) ან/და 55.2 კოდით (დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

  ბ) 56.1 კოდით (რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

  გ) 56.3 კოდით (სასმელებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

  დ) 79 კოდით (ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება.

მიუხედავად აღნიშნული შეღავათისა, საწარმო/ორგანიზაცია არ თავისუფლდება ამ კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელისაგან, რომელიც გადაიხდევინება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახდის ოდენობით, არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა.

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზეც, თუ ეს ქონება ამავე ნაწილით განსაზღვრულ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №994

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №994, რომელიც მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესს შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 2022 წლის 22 ივნისს განხორციელებული ცვლილების თანახმად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 38 პრიმა 1 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, რომლებიც ეხება „დროებით ამოუღებადი დავალიანების“ განსაზღვრის წესს.

  ცვლილების შედეგად, არსებითად არ შეცვლილა საგადასახადო დავალიანების „დროებით ამოუღებად დავალიანებად“ მიჩნევის ძირითადი წესი, თუმცა მოხდა სსკ-ით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინება და გარკვეული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულების დამატება.

მეთოდური მითითება „სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ"

შემოსავლების სამსახურის უფროსის **2022 წლის 28 ივლისის №20231 ბრძანებით** დამტკიცდა მეთოდური მითითება „სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ“, რომელიც სსკ-ის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს ეხება.

აღნიშნული მეთოდური მითითება შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულზე:

➔ მეთოდური მითითება „სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ“

MOORE

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის **"Moore Global Network Limited "-** ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

>114	>260	>579	>30,809
ქვეყანაში	წევრი	ოფისი	თანამშრომელი

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ჩვენი სერვისები



www.moore-georgia.ge

MOORE

We believe the information contained herein to be correct at the time of going to press, but we cannot accept any responsibility for any loss occasioned to any person because of action or refraining from action as a result of any item herein. Printed and published by © Moore Global International Limited. Moore Global International Limited, a company incorporated in accordance with the laws of England, provides no audit or other professional services to clients. Such services are provided solely by member and correspondent firms of Moore Global International Limited in their respective geographic areas. Moore Global International Limited and its member firms are legally distinct and separate entities. They are not and nothing shall be construed to place these entities in the relationship of parents, subsidiaries, partners, joint ventures, or agents. No member firm of Moore Global International Limited has any authority (actual, apparent, implied, or otherwise) to obligate or bind Moore Global International Limited or any other Moore Global International Limited member or correspondent firm in any manner whatsoever.